



საჩუქრადგაცემო წერილი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს ხელმძღვანელობას**

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
ქალბატონ ნათელა თურნავას

ქალბატონო ნათელა,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ერეკლე მექვაბიშვილი
გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები.....	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები.....	15
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა	20
საკონტაქტო ინფორმაცია.....	23

ტერმინები და შემოკლებები

ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი.

ავიაციის სააგენტო – სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

აკრედიტაციის ცენტრი – სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

აწარმოე საქართველოში – სსიპ – აწარმოე საქართველოში.

ინოვაციების სააგენტო – სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

მეტროლოგიის სააგენტო – სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

ნავთობისა და გაზის სააგენტო – სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

ოუფენ ნეტი – ა(ა)იპ – „ოუფენ ნეტი“.

ფინანსთა სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საზღვაო აკადემია – სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

საზღვაო სააგენტო – სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

სახმელეთო სააგენტო – სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო – სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

ტურიზმის ადმინისტრაცია – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

ქონების ეროვნული სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

წიაღის სააგენტო – სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო.

ჰიდროგრაფიული სამსახური – სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური.

1. რეკომენდაციები

1.1 აქტივები და სხვა კაპიტალი/მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება

ქონების ეროვნული სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული:

- 2016-2020 წლებში სააგენტოს მიერ სხვადასხვა საწარმოში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანები ჯამურად 839,969,847 ლარის ოდენობით;¹
- 6,256,156 ლარის ღირებულების მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონება.²
- სააგენტოს განკარგვაში არსებული სახელმწიფო მიწები და შენობები, მათ შორის, პრივატიზებული ქონება, რომელთა რეალიზებით სააგენტომ 2020 წელს 168,750,311 ლარს შემოსავალი მიიღო.

აღნიშნული აქტივები არსებითია არა მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს, არამედ სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სწორად და სამართლიანად წარდგენისათვის.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი დარღვევა იდენტიფიცირებულია ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში და გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.“

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია განხილულ იქნა³ საქართველოს პარლამენტში.⁴ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშგების განმხილველმა მუდმივმოქმედმა ჯგუფმა სრულად გაიზიარა რეკომენდაცია და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით ჩამოეყალიბებინა სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ქონების აღრიცხვაზე პასუხისმგებელი უწყებისა და ვადების განსაზღვრის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების შესახებ. ეკონომიკის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი

¹ ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სრული ინფორმაცია ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლამდე საწარმოთა კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანებისა და კაპიტალიდან ამოღებული ქონებისა და წილების შესახებ

² სააგენტო ასევე ფლობს შეუფასებელ/წულოვანი ღირებულების მქონე 39,932 სხვადასხვა დასახელების მარაგს.

³ 2020 წლის 10 მარტს.

⁴ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშგების განმხილველი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფის მიერ.

რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის ანგარიშის მიხედვით, სამინისტრო არ იზიარებს გაცემულ რეკომენდაციას.⁵

შედეგად, მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა და კომპლექსურობისა, ასევე არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა,⁶ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები არ არის განხორციელებული.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „მატერიალური მარაგებისა“ და „აქციების და სხვა კაპიტალის“ მუხლი შემცირებულად არის წარმოდგენილი.

რეკომენდაცია

საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე – საინვესტიციო, საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.⁷ საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

1.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სახელმწიფო საწარმოებში განხორციელებული შენატანების აღრიცხვა-ანგარიშგებაში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების ეროვნული სააგენტო წილს ფლობდა 105 საწარმოში,⁸ ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში კი ნაჩვენებია მხოლოდ 11 სახელმწიფო კომპანიის წილი;
- აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,⁹ საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი,¹⁰ რაც სამინისტროს აპარატსა და ქონების ეროვნულ სააგენტოში არ არის განხორციელებული.

წერილი N18/5551, 17.08.2020 - ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროს 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის ანგარიშში გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

⁶ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (მუხლი 1, პუნქტი 6; მუხლი 2, პუნქტი „3¹“), აღრიცხვის ინსტრუქციის კონცეპტუალური საფუძვლებისა (თავი 5; მუხლები: 5.6 და 5.7) და სსბასს 1-ში წარმოდგენილი აქტივის განმარტებით (მუხლი 7), სახელმწიფო ქონება აკმაყოფილებს ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

⁷ სსბასს 12 - მატერიალური მარაგები; სსბასს 16 - საინვესტიციო ქონება; სსბასს 17 - ძირითადი საშუალებები; სსბასს 13 - იჯარა.

⁸ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 105 კომპანიიდან, 5 სახელმწიფო კომპანიასთან მიმდინარეობს ლიკვიდაცია, იძულებითი ლიკვიდაცია, გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება, ხოლო 41 არ ფუნქციონირებს.

⁹ მუხლი 10, პუნქტი 46.

¹⁰ სსბასს 36, მუხლი N8.

- ასევე: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სახელმწიფო საწარმოებში არსებული ინვესტიციების აღრიცხვაზე დაშვებულია სტანდარტებით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნებიდან¹¹ გამონაკლისი/გადახრა, რომელიც სათანადოდ არ არის დასაბუთებული.¹²

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

1.3 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები/სხვა მოკლევადიანი აქტივები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 149,669,085 ლარის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები, საიდანაც:

- ავიაციის სააგენტოში – 3,191,640 ლარის და სახმელეთო სააგენტოში 235,002 ლარის დებიტორული დავალიანებების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია არ იძებნება.¹³
- სამინისტროს აპარატი ირიცხება 1,381,285 ლარის¹⁴ მოთხოვნები, რომელთა დაფარვის ალბათობა დაბალია.
- ნავთობისა და გაზის სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია 583,558 ლარის ვადაგადაცილებული მოთხოვნები,¹⁵ საიდანაც პირველადი დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ 314,553 ლარის დავალიანებასთან დაკავშირებით, ხოლო დებიტორების ნაწილი – 512,249 ლარის ოდენობით დავალიანებას არ აღიარებს. 2020 წელს და ასევე, წინა პერიოდში,¹⁶ სააგენტოს მიერ ზემოთ მოცემული დებიტორული დავალიანების ამოღებასთან დაკავშირებული პროცესები არ განხორციელებულა.

¹¹ სსბასს 3, მუხლი 29.

¹² სამინისტროში ასევე არ არის შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც ახსნილი იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრის მიზეზები.

¹³ დავალიანებები წარმოშობილია 2002-2006 წლებში.

¹⁴ შპს „იმედი პროდაქშენი“ - 1,191,578 ლარი, შპს „ენერგოსექტორმშენი“ - 106,192, ლარი შპს „კინოთეატრი „ბორჯომი“ 83,515 ლარი.

¹⁵ რომლებიც შედგება 2004-2007 წლებში ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასურის დარიცხვით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებებისაგან.

¹⁶ საკითხი განხილულია ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

	ჰიდროგრაფიის სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 435,252 ლარის სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივი რომელიც წარმოადგენს დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანიის, შპს „ჰაიმასტერზე“ დაკისრებული ზარალის ასანაზღაურებელ თანხას.¹⁷ 2010 წლის სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად დაიწყო აღსრულების პროცესი, თუმცა აღნიშნული კომპანიის მოძიება და უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში მიმდინარე მდგომარეობით არ დარეგისტრირებულა.¹⁸
მიზეზი	ინვენტარიზაციის ჩატარებლობა და მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა. დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებული დაგვიანებული ქმედებები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლსა და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციას, ურთიერთშედეგების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობის, დაფარვის ალბათობის, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლას, ასევე დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, ავიაციის სააგენტო, სახმელეთო სააგენტო, ნავთობისა და გაზის სააგენტო, ჰიდროგრაფიის სამსახური.
აუდიტის მიგნება	სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 77,440,273 ლარიდან, 51,478,964 ლარი წარმოადგენს კომერციული ბანკების მიმართ არსებულ მოთხოვნებს. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კომერციულ ბანკებში გაგზავნილ წერილებზე¹⁹ მიღებული პასუხების მიხედვით, ბანკები აღიარებენ 16,229,916 ლარით ნაკლებ დავალიანებას.
მიზეზი	აღრიცხვის ნაკლოვანება, კონტროლის მექანიზმების სისუსტე.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სსიპ-მა – აწარმოე საქართველოში კომერციული ბანკებიდან მოიპოვოს დეტალური ინფორმაცია, კონკრეტული ბენეფიციარების მიხედვით, 2020 წლის განხორციელებული

¹⁷ სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

¹⁸ საკითხი დეტალურად განხილულია და შესაბამისი რეაგირების შესახებ რეკომენდაცია გაცემულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სააგენტოს 2018 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიშში.

¹⁹ გარე დადასტურებაზე წერილი გაიგზავნა 9 კომერციულ ბანკში, რომლებზეც აღრიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენს 49,706,163 ლარს.

გადახდების შესახებ და ჩამოაყალიბოს სათანადო კონტროლის მექანიზმები ინფორმაციის პროაქტიულად მიღებისათვის.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სსიპ – აწარმოე საქართველოში.

1.4 გრანტები, ტრანსფერები, სუბსიდიები

აუდიტის მიგნება

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით,²⁰ მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდებათ ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში²¹ მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობას (აბონენტებს) 2019 წლის 1 დეკემბრიდან 2020 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2020 წლის 15 ოქტომბრიდან 2020 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად²² გამოვლინდა, რომ 2020 წელს გაწეული 8,948,710 ლარის ხარჯიდან 2,307,396 ლარი²³ ანაზღაურებულია ისეთ აბონენტებზე, რომლებსაც სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზაში²⁴ არ აქვთ მუდმივად მცხოვრებლის სტატუსი.

მიზეზი

არასათანადო კონტროლის მექანიზმები.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ მუხლში არსებული შესაძლო უზუსტობები, თანხების არაეკონომიური განკარგვის რისკი.

რეკომენდაცია

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განკარგვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებმა დანერგონ სათანადო კონტროლის მექანიზმები მაღალმთიანი მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის ასანაზღაურებელი ღირებულების დადასტურებისას შესაბამის აბონენტებზე „მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის“ სტატუსის სისწორის შემოწმებისათვის.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტები.

1.5 ძირითადი აქტივები / საინვესტიციო ქონება

აუდიტის მიგნება

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში არ არის დაცული სსპასს 13-ის მოთხოვნები²⁵ იჯარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საოპერაციო იჯარით გაცემული ქონება არ არის აღრიცხული ფინანსური

²⁰ მუხლი 31.

²¹ სეთურნი, ზაქათკარი, ჯაღმანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუღურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე ის სოფლები, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ.

²² წერილი N01/124990, 28.06.2021.

²³ მათ შორის, 99,109 ლარზე ვერ იქნა იდენტიფიცირებული აბონენტის პირადი ნომრები.

²⁴ მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირების რეესტრს აწარმოებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო.

²⁵ საოპერაციო იჯარით გაცემული აქტივი უნდა აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსური იჯარით გაცემისას, მასზე ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში.

	მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული განმარტებით შენიშვნებში.
	2020 წელს ქონების ეროვნული სააგენტოს ჯამურმა საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 5,786,982 ლარი.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირებულად არის წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ გააკეთოს შესაბამისი შეფასებები, დააკლასიფიციროს სახელმწიფო ქონებები და აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. ²⁶
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.
აუდიტის მიგნება	სსბასს 17 – „ძირითადი აქტივების“ შესაბამისად, ²⁷ აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, ²⁸ რაც განხორციელებული არ არის. 2020 წელს სრულად გაცვეთილი და განულებული ძირითადი აქტივების ისტორიული ღირებულება შეადგენს 1,404,726 ლარს.
მიზეზი	სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „ძირითადი აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება სსბასს 3-ის შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროში შემავალი ყველა დაქვემდებარებული სტრუქტურული ერთეული.

1.6 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს დაქვემდებარებულ რამდენიმე ორგანიზაციაში ²⁹ არ გამოიყენება სსბასს 31-ის მითითებები ³⁰ არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებასთან დაკავშირებით. არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების
-----------------	--

²⁶ სსბასს 12 - მატერიალური მარაგები; სსბასს 16 - საინვესტიციო ქონება; სსბასს- 17 ძირითადი საშუალებები; სსბასს 13 - იჯარა.

²⁷ მუხლი 67.

²⁸ სსბასს 3-ის - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ შესაბამისად.

²⁹ სამინისტროს აპარატში, ქონების ეროვნულ სააგენტოში, ტურიზმის ადმინისტრაციაში.

³⁰ მუხლი 87, მუხლი 106, მუხლი 107.

	განსაზღვრის საკითხი და ყველა არამატერიალურ აქტივზე სასიცოცხლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტრომ არამატერიალური აქტივები დააკლასიფიციროს როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

1.7 სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს აპარატის ბალანსზე დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ირიცხება 2,808,622 ლარის ღირებულების ³¹ საპროექტო დოკუმენტაცია, რომელიც სამინისტროს უსასყიდლოდ გადაეცა 2014 წლის 29 აგვისტოს. საპროექტო დოკუმენტაციის გამოყენების შესაძლებლობა მცირეა, რადგან მშენებლობაზე გაფორმებულია ახალი ხელშეკრულებები/ემორანდუმები. ³² აქტივების გამოუყენებლობის საკითხი სსბასს 21 – „ფულადი სახსრების არწარმომქმენლი აქტივების გაუფასურების“ მიხედვით წარმოადგენს გაუფასურების მაჩვენებელს. ³³ სამინისტროს აპარატში გაუფასურების ტესტირება აქტივებთან დაკავშირებით არ ჩატარებულა.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატმა სსბასს 21-ის მიხედვით, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი და განსაზღვროს აქტივის ბალანსზე აღრიცხვის მიზანშეწონილობა.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი.

³¹ „ბაზვი ჰესი 1-2 და ბაზვი ჰესი 5“-ის საპროექტო დოკუმენტაცია.

³² რომლებშიც გაწერილია ახალი კომპანიების მიერ ზემოხსენებული პროექტების განვითარების ფარგლებში კვლევების დამოუკიდებლად ჩატარების საკითხი. ასევე აღსანიშნავია, რომ სამინისტროს აპარატის განმარტებით, მათ კომპანიებისათვის ტექნიკური დოკუმენტაცია არ გადაუციათ.

³³ მუხლი 27.

1.8 პირგასამტეხლო

აუდიტის მიგნება	ქონების ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქციაა³⁴ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე დაკისრებული გადასახდელების/პირგასამტეხლოს აღრიცხვისა და ამოღების კონტროლი. სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები პირგასამტეხლო, დაახლოებით, 75,441,775 ლარს და 112,478,905 აშშ დოლარს შეადგენს. საპრივატიზებო ვალდებულების ან ქონების მართვის უფლებით გადაცემის პირობების დარღვევის და საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობიდან დაკისრებული პირგასამტეხლოების საკითხი მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. პირგასამტეხლოს მოთხოვნის, შემცირების ან პატიების პროცესის ინიცირება უნდა ითვალისწინებდეს როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორის ინტერესებს და შესაბამისი გადაწყვეტილება არგუმენტირებულად იყოს დასაბუთებული. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უნდა მიეწოდებოდეთ ინფორმაცია აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით, სსბასს-ით და სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში.
მიზეზი	არ არის შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა და არ არის განხორციელებული სააღრიცხვო შეფასებები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ინფორმაციის ნაკლებობა, პირგასამტეხლოების დაკისრების და ამოღების საკითხის შეუფასებლობა – ხელს უშლის სააგენტოს/სახელმწიფოს მიერ მისაღები შემოსავლების ზუსტ დაგეგმვაში.
რეკომენდაცია	მისაღები პირგასამტეხლოების აღრიცხვიანობისა და შესაბამისი თანხების დროულად მიღების მიზნით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრივატიზებისა და აქტივების მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულების ეფექტიან მონიტორინგს და აღრიცხვას. კერძოდ, სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია შემუშავდეს პირგასამტეხლოების დარიცხვის ან ჩამოწერის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დაბალანსებულად იქნება გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორების ინტერესები. ასევე, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ანგარიშგების მომხმარებლებს მიეწოდოს ინფორმაცია, აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით, სსბასსს-ით და სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სამინისტროს აპარატი, ფინანსთა სამინისტრო.

³⁴ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

1.9 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიზნება

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და, ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე იზრდება აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობა;

სამინისტროს აპარატში,³⁵ ტურიზმის ადმინისტრაციაში, საზღვაო აკადემიასა და ინოვაციების სააგენტოში 2020 წელს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

გამოვლინდა, რომ:

- ტურიზმის ადმინისტრაციაში ძირითად საშუალებებს საინვენტარო ნომრები მინიჭებული არ აქვს, ზოგ შემთხვევაში არც აქტივის ზუსტი ადგილმდებარეობაა დაფიქსირებული;
- სამინისტროს აპარატში ძირითადი აქტივების შესახებ ინფორმაცია აღირიცხება საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამა ORIS-ში და Excel-ში. აპარატის მიერ გადმოგზავნილ Excel-ის ცხრილში არ არის ინფორმაცია მოცემული მატერიალურ-პასუხისმგებელი პირების შესახებ;
- საზღვაო აკადემიასა და ინოვაციების სააგენტოში ძირითად საშუალებებზე საინვენტარო ნომრები და მატერიალურად პასუხისმგებელი პირები არ არიან განსაზღვრული.

მიზეზი

აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები.

რეკომენდაცია

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

³⁵ ქვეყანაში არსებული პანდემიისგან (COVID - 19) გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე, „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ მინისტრის 2020 წლის 22 ოქტომბრის N1-1/451 ბრძანებაში ცვლილება შევიდა მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის N1-1/563 ბრძანებით და ვადა განისაზღვრა 2021 წლის 21 ივნისამდე.

1.10 ბუღალტრული აღრიცხვა-სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები, პირგასამტეხლოები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან წარმოშობილი შემოსავლები, სანქციებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები და სხვ.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა იწვევს არათანმიმდევრულ აღრიცხვიანობას სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში და ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობების რისკს.

მიზეზი

არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

1.11 კომუნალური გადასახადების სუბსიდირება

აუდიტის მიგნება

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის N655 დადგენილების³⁶ თანახმად, სამინისტრომ განახორციელა კომუნალური გადასახადების სუბსიდირება 2020 წლის ნოემბრის, დეკემბრის, 2021 წლის იანვრისა და თებერვლის თვეებში.

საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ სუბსიდირებაზე უარის თქმის მიზნით, გამოყენებული იქნებოდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში – სემეკი) მიერ შემუშავებული ელექტრონული პლატფორმა.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სემეკის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმა არ იძლევა სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალებას, ხოლო სამინისტროს დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში არ ევალებოდა ინფორმაციის მოპოვება იმ აბონენტების შესახებ, რომლებმაც უარი განაცხადეს სუბსიდირებაზე. შესაბამისად, არ გადამოწმებულა კომუნალური მომსახურების გამწევი კომპანიებისაგან მიღებული ინფორმაციის სისწორე, რაც

³⁶ „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

	ზრდის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკებს და მიუთითებს კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე.
მიზეზი	არასათანადო კონტროლის მექანიზმები.
გავლენა	თანხების არაეკონომიური განკარგვის რისკი.
რეკომენდაცია	ფინანსური რესურსის ეფექტიანად განკარგვის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ გადაამოწმოს კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწევი კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის სისწორე და მსგავსი პროგრამის სამომავლოდ განხორციელების შემთხვევაში დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები თანხების ასანაზღაურებლად გამოყენებული ინფორმაციის სისწორის დასადაგენად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი.
1.12 გადასესხებული სესხები	
აუდიტის მიგნება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ასიგნებებში გათვალისწინებულია უცხოური კრედიტებით და გრანტებით განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტების თანხები. 2020 წელს ასეთი თანხების ოდენობამ შეადგინა 67,004,772 ლარი. ხელშეკრულებების პირობების მიხედვით,³⁷ სესხის გამცემია საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხოლო სესხის მიმღები – პროექტის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანიზაციები.³⁸ სამინისტროს აპარატი არ აღიარებს სასესხო მოთხოვნების ნაშთს პროექტის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანიზაციების მიმართ, რაც სწორი აღრიცხვის მიდგომაა, თუმცა აღნიშნული არ იძლევა მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების უტყუარად და სამართლიანად წარმოდგენის შესაძლებლობას.
მიზეზი	აღრიცხვის არაერთგვაროვანი მიდგომა.
გავლენა	საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არასამართლიანი წარდგენა.
რეკომენდაცია	საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ გადასესხებულ სესხებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა, კერძოდ, დაკონკრეტდეს რომელი უწყების მიერ მოხდება აღნიშნული თანხების აღრიცხვა და შესაბამისი შეფასებების გაკეთება.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

³⁷ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და პროექტის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის, ფორმდება გადასესხების ხელშეკრულებები;

³⁸ ამასთანავე, პროექტის განმახორციელებელი საწარმოები ვალდებულია აღიარებენ არა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, არამედ ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

1.13 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

აუდიტის მიგნება

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები, რაც ორგანიზაციების შეფასებით არ არის მათი შემოსავალი, რადგან თანხები ირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში. 2020 წელს ასეთი ტიპის დარიცხულმა ჯარიმებმა, მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, შეადგინა 761,700 ლარი, საიდანაც გადახდილია 320,800 ლარი.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ ასეთი ტიპის შემოსავლების დარიცხვის მეთოდით აღრიცხვა და შემდგომ შესაბამისი შეფასებების გაკეთება რთულად განხორციელებადია სახელმწიფო ხაზინის მიერ, შესაბამისი ინფორმაციის არარსებობის გამო. შედეგად, არსებობს რისკი იმისა, რომ ასეთი ტიპის შემოსავლები არ იქნება სამართლიანად წარდგენილი მთავრობის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიზეზი

აღრიცხვასა და საკანონმდებლო ბაზაში არსებული ხარვეზები.

გავლენა

ინფორმაციის არასრულად და არაზუსტად წარმოდგენა.

რეკომენდაცია

საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ სანქციებთან, ჯარიმებთან და საურავებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა, კერძოდ, სააღრიცხვო პოლიტიკაში დაკონკრეტდეს, რომელი უწყების მიერ მოხდება მიღებული შემოსავლების აღრიცხვა და შესაბამისი შეფასებების გაკეთება.

კომპონენტები, რომლებზეც

გაიცა რეკომენდაცია

შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატში სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების ანგარიშზე ირიცხება საქართველოს მთავრობის დადგენილების³⁹ საფუძველზე, კომუნალური გადასახადების სუბსიდირების ფარგლებში, სხვადასხვა კომპანიაზე 2020 წლის დეკემბრისა და 2021 წლის იანვრის⁴⁰ გადასახადების წინასწარ ანაზღაურებული თანხები 144,824,960 ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხიდან 2020 წლის დეკემბრის ხარჯია 72,011,831 ლარი, რომელიც აღრიცხვის ინსტრუქციის⁴¹ შესაბამისად, ხარჯად უნდა აღიარებულიყო 2020 წელს.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიაში“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2020 წელს ჩარიცხული თანხა, ჯამურად 730,898 ლარის ოდენობით⁴² და შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანიის“ კაპიტალში შეტანილი 700,000 ლარი.⁴³ აღნიშნული თანხებით უნდა გაზრდილიყო ქონების ეროვნული სააგენტოს ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში, რაც არ განხორციელდა.

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში“⁴⁴ განხორციელებული ინვესტიციები 3,000,000 ლარის ოდენობით ექვემდებარება ბალანსიდან ჩამოწერას, გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის 100%-იანი წილის მმართველია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო.⁴⁵

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2.3 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში ასახულია 2018 წელს განხორციელებული ძირითადი საშუალებების აფასების თანხა – 395,408 ლარის ოდენობით.⁴⁶

³⁹ 2020 წლის 30 ოქტომბრის N655 დადგენილება „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

⁴⁰ დადგენილების მე-9 მუხლის შესაბამისად, 2020 წლის დეკემბრისა და 2021 წლის იანვრის ხარჯი ანაზღაურდა 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „24 07 03 – ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე ეკონომიკის ხელშეწყობის ღონისძიებების“ პროგრამული კოდით გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

⁴¹ მუხლი 7, პუნქტი 1.

⁴² ბრძანებების მიხედვით გადარიცხული თანხები წარმოადგენდა კაპიტალში შენატანებს: ქონების ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 30 მარტის N1/1 -1638 და 2020 წლის 28 მაისის N1/1-1994 ბრძანებები.

⁴³ ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 16 სექტემბრის ბრძანება N1/1-3100.

⁴⁴ ს/კ 412670097.

⁴⁵ ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან B20029392, 06/04/2020.

⁴⁶ ანგარიში „ფლობის შედეგად გაწეული სხვა მოგება“.

აღნიშნული წარმოადგენს შეცდომის გასწორებას,⁴⁷ გადაანგარიშდება რეტროსპექტულად, შედეგად ძირითადი აქტივების გადაფასების თანხით უნდა დაკორექტირებულიყო საწყისი კაპიტალის ნაშთი და არ უნდა იყოს ასახული 2020 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში.

ჰიდროგრაფიული სამსახურის და ინოვაციების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებებში⁴⁸ 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხულია 1,237,947 ლარის და 1,288,069 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე ძირითადი აქტივები, რომლებიც სრულად გაცვეთილია და მათი საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია.

**კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური, სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

2.4 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

საზღვაო აკადემიის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 2,472,593 ლარის ისტორიული და 1,272,172 ლარის საბალანსო ღირებულების არამატერიალური აქტივები 2020 წელს განისაზღვრა განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებად.⁴⁹ აღნიშნულ აქტივებზე დაგროვილი ცვეთა 1,200,421 ლარის ოდენობით ექვემდებარება ჩამოწრას სსბას 3-ის მიხედვით, რაც არ განხორციელებულა.

**კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა**

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

2.5 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

აუდიტის მიგნება

ინოვაციების სააგენტოს „საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD)-ის“⁵⁰ ფარგლებში მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 11,818,540 ლარის სუბსიდიის ხარჯი მოიცავს 9,995,844 ლარის ისეთ თანხებს,⁵¹ რომელთა აღრიცხვა აღნიშნულ ანგარიშზე შეუსაბამოა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნებთან.⁵²

ამასთანავე, დარჩენილი 1,822,696 ლარის ნაცვლად, 2020 წლის სუბსიდიის მოცულობა შეადგენს 4,402,470 ლარს.

შედეგად, ინოვაციების სააგენტოს 2020 წლის „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიის“ ხარჯი 7,416,070 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ასევე 2020 წლის ხარჯებში აღრიცხული 9,995,884 ლარი საჭიროებს „საქონელისა და მომსახურების“ მუხლში რეკლასიფიკაციას.

სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხული 33,577,188 ლარის ხარჯი შემცირებულია 567,974 ლარით, რაც წარმოადგენს შეცდომის

⁴⁷ სსბას 3, პუნქტები: 46-47.

⁴⁸ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა N6.

⁴⁹ ფინანსთა მინისტრის N289 ბრძანების მიხედვით.

⁵⁰ საბიუჯეტო კოდი: 24 12.

⁵¹ ოფისის ხარჯები, თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება, საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები და სხვ.

⁵² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი 52, პუნქტი 34.

გასწორებას და სსბასს 3-ის მოთხოვნების მიხედვით⁵³ უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, სსიპ – აწარმოე საქართველოში.

2.6 პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები

აუდიტის მიგნება

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების საცნობარო ანგარიშებსა და განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია პირობით აქტივებსა და პირობით ვალდებულებებზე, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან.⁵⁴

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო, სსიპ – აწარმოე საქართველოში.

2.7 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ:

დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ მოთხოვნათა შესაბამისად.

განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის გამჟღავნებული სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.⁵⁵

ინფორმაცია შეზღუდული ფულადი რესურსის შესახებ

სსიპ – აწარმოე საქართველოში და ქონების ეროვნული სააგენტო ფლობენ ისეთ ფულად სახსრებს, რომელთა გამოყენება შეზღუდული აქვთ მათი მიზნობრიობიდან გამომდინარე. ასეთი თანხა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 30,737,418 ლარს.⁵⁶

სსბასს 2-ის მიხედვით,⁵⁷ ინფორმაცია იმ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, რომლებიც ეკუთვნის ერთეულს, მაგრამ არ შეუძლია მათი გამოყენება, წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში, რაც არ არის განხორციელებული.

სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,⁵⁸ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით

⁵³ მუხლი 47.

⁵⁴ მუხლი 10, პუნქტი 30.

⁵⁵ სსბასს 20, მუხლები: 27-41.

⁵⁶ სსიპ – აწარმოე საქართველოში - 29,345,179 ლარი, ქონების ეროვნულ სააგენტოში - 1,392,239 ლარი;

⁵⁷ მუხლი 59.

⁵⁸ სსბასს 1, მუხლი 27.

შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.⁵⁹

სამინისტროში არ არის შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო და სსიპ – აწარმოე საქართველოში.

2.8 კრედიტორული დავალიანება

აუდიტის მიგნება

ტექნიკურ და სამშენებლო ზედამხედველობაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული 190,000 ლარის კრედიტორული დავალიანების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია არ იძებნება.

ნავთობისა და გაზის სააგენტოში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 583,558 ლარის დებიტორული დავალიანების⁶⁰ იდენტური თანხა ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებად, რაც აღრიცხვის კუთხით შეუსაბამოა საბიუჯეტო კოდექსის უნივერსალობის⁶¹ პრინციპთან, რომლის მიხედვით, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ორგანიზაცია მიიღებს ფულად სახსრებს.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, სსიპ – ნავთობისა და გაზის სააგენტო.

2.9 სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია სხვა არაფინანსური აქტივებზე დაგროვილი ცვეთა 225,576 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს სხვა ერთეულებზე გადასაცემად არსებულ აქტივებზე დაგროვილ ცვეთას და 2020 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით ექვემდებარება განულებას, ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 2 დეკემბრის N289 ბრძანებისა⁶² და სსბას 3-ის საფუძველზე.⁶³

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.10 საწყისი ნაშთები

აუდიტის მიგნება

ავიაციის სააგენტოში 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების და კრედიტორული დავალიანების ანგარიშის ნაშთები, შესაბამისად, 285,193 ლარით და 249,983

⁵⁹ სსბას 19.

⁶⁰ 2004-2007 წლებში ნავთობპროდუქტების რეგულირების საფასური, რომელიც ირიცხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში.

⁶¹ უნივერსალობა - ბიუჯეტის ყველა შემოსულობის მიმართვა საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ამ კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა. ამასთანავე, არც ერთი შემოსულობა, გარდა დონორების მიერ დაფინანსებული შემოსულობებისა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონკრეტული გადასახდელის დასაფინანსებლად. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოსულობების შენარჩუნება თავისი მიზნებისათვის დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საბიუჯეტო ორგანიზაცია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

⁶² „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, მუხლი 6.

⁶³ სსბას 3 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, მუხლი 27.

ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები არ ემთხვევა ბუღალტრულ ბაზაში აღრიცხულ მონაცემებს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საზღვაო სააგენტოში სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივების და საზღვაო აკადემიაში სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებების ანგარიშზე აღრიცხული 300,000 ლარი.

ინოვაციების სააგენტოს მომზადებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში⁶⁴ „სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები“ ანგარიშზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული 787,062 ლარის მოთხოვნები შემცირებულია 2,626,971 ლარით.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო, სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

2.11 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

აუდიტის მიგნება

წიაღის სააგენტოს მიერ 2020 წელს აღიარებულია წინა საანგარიშგებო პერიოდის შემოსავლების კორექტირება და „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან“ გაზრდილია 745,312 ლარით. სსბასს 3-ის⁶⁵ და აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნული წარმოდგენს შეცდომის გასწორებას, რომელიც მოითხოვს რეტროსპექტულად გადაანგარიშებას, რაც არ არის განხორციელებული.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტო.

⁶⁴ „საქართველოს ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (IBRD) საბიუჯეტო კოდი 24 12“.

⁶⁵ სსბასს 3 - მუხლები: 46-47.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება. შესრულებული.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციის, ურთიერთშეადარების აქტების გაფორმების, მათი რეალობის, ხანდაზმულობის, დაფარვის ალბათობის შესწავლას და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. გარდა ზემოაღნიშნულისა, სამინისტრომ იმსჯელოს კონკრეტულ დებიტორთან დაკავშირებით სასამართლო დავის დაწყების და სხვა სამართლებრივი გზების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	გამომდინარე იქიდან, რომ შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთვის“ გაცემული შენობა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აკმაყოფილებდა ქონების ეროვნული სააგენტოს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, რეკომენდებულია, სააგენტომ აღნიშნული შენობა ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში, როგორც ძირითადი საშუალება. შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ გასხვისებული აქტივი უნდა ჩამოიწეროს ფინანსური ანგარიშგებიდან. ამასთანავე, დაკორექტირდეს ძირითადი აქტივების საწყისი ნაშთი.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

შესრულებული.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნებიდან გამომდინარე, საზღვაო აკადემიამ შეაფასოს საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში მდებარე შენობა-ნაგებობა და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი რეალური ღირებულებით და შესაბამისად ასახოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

შესრულებული.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენისათვის, აუცილებელია, სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ და ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ მოახდინონ ისეთი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირება, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და განახორციელონ შემდგომი ქმედებები აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

შესრულებული.

რეკომენდაცია

მისაღები პირგასამტეხლოების აღრიცხვიანობისა და შესაბამისი თანხების დროულად ამოღებისათვის, ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრივატიზებისა და აქტივების მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებების ეფექტიან მონიტორინგს. მნიშვნელოვანია შემუშავდეს ისეთი სტრატეგია, რომელშიც დაბალანსებულად იქნება გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორების ინტერესები.

რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი

შეუსრულებელი.

რეკომენდაცია

სსიპ-მა – აწარმოე საქართველოში დანერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პროექტის ფარგლებში გაცემული თანხების მიზნობრიობის მონიტორინგს. მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამის მიზნების ეფექტიანად განხორციელების მიზნით, საჭიროა კონტრაქტორების მიერ სრულყოფილად იქნეს მოწოდებული პროგრამის მიმდინარეობის შესახებ ანგარიშები, ხოლო სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“, თავის მხრივ, განახორციელოს კონტრაქტორი კომპანიების მიერ მოწოდებულ ანგარიშებში არსებული ინფორმაციის დეტალური შესწავლა, სისრულისა და სისწორის დადგენა (მათ შორის, პრობლემური ბენეფიციარის შესახებ). რის შემდეგაც გამოვლენილი გარემოებების გათვალისწინებით იმოქმედებს ხელშეკრულებების და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ საჭიროა დანერგოს კონტროლის

	მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს კონტრაქტორების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული მომსახურების ხარისხის შემოწმებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	კრედიტის პროცენტის თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში გაცემული თანხების არამიზნობრივად განკარგვის რისკის შესამცირებლად, სსიპ-მა – „აწარმოე საქართველოში“ დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ბენეფიციარის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს და დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სათანადო რეაგირებას.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	მიმდინარე.
რეკომენდაცია	ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილების და ბუღალტრული საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, მიზანშეწონილია, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ხელმძღვანელობამ დანერგოს ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამა, ხოლო აკრედიტაციის ცენტრმა სრულყოფილად აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებულია აკრედიტაციის ცენტრში, ნაწილობრივ შესრულებულია – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში.
რეკომენდაცია	აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების, საიმედოობისა და შესაძარისობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და მის დაქვემდებარებაში მყოფმა უწყებებმა უზრუნველყონ ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, რომლის საშუალებითაც ასევე შესაძლებელი იქნება ბუღალტრული აღრიცხვის სათანადოდ წარმოება და შესაბამისი ფინანსური ანგარიშგებების მომზადება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შეუსრულებელი.

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	გიორგი ჭოლოკავა gcholokava@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE